1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 15 (175) 30 მაისი 1962 წელი


## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი


226. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ა. ეპიშევის გათავისუფლების შესახებ.


#### განყოფილება მეორე


227. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უმცროსი სერჟანტის ი. ი. კუზმინის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

228. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კავშირგაბმულობის ჯარების მარშლის ა. ი. ლეონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

229. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.


#### განყოფილება მესამე


ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.


### საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი


230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

231. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. ფოთის სახალხო მოსამართლის ჯ. ა. კუტალიას გასაწვევად კენჭისყრის დანიშვნის შესახებ.

232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე.

## განყოფილება მეორე

233. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 226 იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ა. ეპიშევის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ალექსი ალექსის ძე ეპიშევი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 მაისი.
№ 90-VI.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 227 მილიციის უმცროსი სერჟანტის ი. ი. კუზმინის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საშიშ დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულობისათვის მილიციის უმცროსი სერჟანტი იური ივანეს ძე კუზმინი დაჯილდოებულ იქნას მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 21 მაისი.
№ 89-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 228 კავშირგაბმულობის ჯარების მარშლის ა. ი. ლეონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის კავშირგაბმულობის ჯარების მარშალი ალექსი ივანეს ძე ლეონოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 მაისი.
№ 91-VI.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**229** საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის"** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის"** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. დუშიკო სიმონის ასულ **ბიწაძეს** — კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ქალაქი ჭიათურა.
2. ახმედ ყზი **გიიმატს** — რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ქალაქ თბილისის სამგორის რაიონი.
3. მალაქ ჯავად ყზი **კარაევას** — დიასახლისს, ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის სადგური გარდაბანი.
4. სოლუმე ზაქარიას ასულ **კუძიევას** — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფელი დიდი ღრომი.
5. ხაჯა ალახიარ ყზი **მირზაევას** — კოლმეურნეს, დმანისის რაიონის სოფელი იაკუბლო.
6. ნადია ერისტოს ასულ **რუხაძეს** — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აბაშის რაიონი.
7. სინაივარ იუსუბ ყზი **სადიკოვას** — დიასახლისს, ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის სოფელი გარდაბანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 მაისი.
№ 116-VI.

## განყოფილება მესამე

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

### ყაზახეთის სსრ

**დასავლეთ ყაზახეთისა და სამხრეთ ყაზახეთის მხარეთა შექმნა**

ყაზახეთის სსრ დასავლეთ და სამხრეთ ოლქებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი რესურსების უფრო სრულად გამოყენების მიზნით ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 3 მაისის ბრძანებულებით შექმნა:

ა) **დასავლეთ ყაზახეთის** მხარე, რომელშიც შევიდა აქტიუბინსკის, გურიევისა და დასავლეთ ყაზახეთის ოლქების ტერიტორია მათი ახლანდელი საზღვრების ფარგლებში, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ **აქტიუბინსკში;**

ბ) სამხრეთ ყაზახეთის მხარე, რომელშიც შევიდა ჯამბულის, ყზილ-ორდი-სა და სამხრეთ ყაზახეთის ოლქების ტერიტორია მათი ახლანდელი საზღვრე-ბის ფარგლებში, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ **ჩიმკენტში.**

დასავლეთ ყაზახეთის ოლქი გადარქმეულია **ურალსკის** ოლქად, სამხრეთ ყაზახეთის ოლქი — **ჩიმკენტის** ოლქად.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 230 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1962 წლის 22 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 25 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 231 ქ. ფოთის სახალხო მოსამართლის ჯ. ა. კუტალიას გასაწვევად კენჭისყრის დანიშვნის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები ქ. ფოთის სახალხო მოსამართლის ჯ. ა. კუტალიას გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-ზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს კენჭისყრა ქ. ფოთის სახალხო მოსამართლის ჯვებე ალექსან-დრეს ძე **კუტალიას** გაწვევის შესახებ 1962 წლის 1-6 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 25 მაისი.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**

**232 „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ 3, 6 და 13 მუხლებში ზოგიერთი ცვლილებანი და აღნიშნული მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოთა მეურნეობები, ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობანი, რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები (გარდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს საგზაო ორგანიზაციებისა) მონაწილეობენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორის, სამშენებლო და საგზაო მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში, მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის არანაკლებ 0,06 პროცენტისა (მთლიანი პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ტვირთზიდვისა და მგზავრების გადაყვანის საერთო შემოსავლის მოცულობის და ა. შ.).

იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის ის ნაწილი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას საგზაო სამუშაოებზე, აღემატება მათი კუთვნილი ტრანსპორტის და მექანიზმების გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის ღირებულებას და ამავე დროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ საშუალება ეს ნაწილი შეასრულონ თავისი ტრანსპორტითა და მექანიზმებით, მათ შეუძლიათ განსხვავება დაფარონ ფულადი შენატანით“.

„6. ამ ბრძანებულების 3 მუხლში ჩამოთვლილი ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა, ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობენ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის 0,06 პროცენტის ოდენობით, ხოლო მომმარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციები —

მათი წლიური ბრუნვის (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩაუთვლელად) 0,2 პროცენტის ოდენობით."

„13. ფულადი თანხები, გადახდევინებული საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის, აგრეთვე თანხები, რომლებსაც სამეურნეო ორგანიზაციები შეიტანენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის ნაცვლად (მუხლი 3, 5 და 6), ჩაირიცხება ადგილობრივ საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე და დაიხარჯება მხოლოდ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტზე, იმ ფულად ასიგნობათა დამატებით, რომლებიც საგზაო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია ბიუჯეტით.

აღნიშნული ფულადი თანხების არა უმეტეს 25 პროცენტისა მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებით შეიძლება დაიხარჯოს სატრანსპორტო საშუალებებისა და საგზაო-სამშენებლო ტექნიკის შეძენისათვის, აგრეთვე საგზაო ორგანიზაციების საწარმოო ბაზების განვითარებისათვის და საპროექტო-საკვლევი სამუშაოების ანაზღაურებისათვის.

ამავე თანხებიდან საბრუნავი სახსრები დაწესებული ნორმატივების ფარგლებში გამოეყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს იმ მოიჯარადრე საგზაო-სამშენებლო და ხიდების სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოებს ასრულებენ.

წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები, რომლებიც ჩარიცხულია საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, ინარჩუნებენ თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას შემდეგ წელს".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 25 მაისი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 233 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით უფროსი ლეიტენანტი ილია ნიკოლოზის ძე ფედიუკოვი დაჯილდოებულ იქნას მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 234 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:

1. ალფრედ ნაპოლეონის ძე მანიევი — კინოთეატრ „კოლხიდის“ კინომექანიკოსის თანაშემწე.
2. ჯემალ გრიგოლის ძე გრძელოვი — „კურორტვაჭრობის“ სურამის მაღაზიის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 25 მაისი.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 25 მაისის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 790 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 134 |
| ქ. გორიდან | | 3 |
| ქ. რუსთავიდან | | 11 |
| ქ. ფოთიდან | | 6 |
| ახალციხის | რაიონიდან | 27 |
| ბოლნისის | „ | 199 |
| ბორჯომის | „ | 18 |
| გეგეჭკორის | „ | 18 |
| გორის | „ | 17 |
| გურჯაანის | „ | 2 |
| დმანისის | „ | 44 |
| დუშეთის | „ | 15 |
| ვანის | „ | 38 |
| ზესტაფონის | „ | 16 |
| ზუგდიდის | „ | 39 |
| თელავის | „ | 11 |
| თერჯოლის | „ | 36 |
| კასპის | „ | 21 |

მცხეთის რაიონიდან . . . 17
სიღნაღის „ . . . . . 2
ქარელის „ . . . . . 19
ყვარლის „ . . . . . 19
ჩოხატაურის „ . . . . . 14
ჩხოროწყუს „ . . . . . 1
ცაგერის „ . . . . . 6
ცხაკაიის „ . . . . . 8
წალკის „ . . . . . 25
ხაშურის „ . . . . . 14

ეროვნული ბიბლიოთეკა